79	მოდრავი იატაკის დემონტაჟი	მ2	42.08		0	15	631.2	0.31	13.0448	644.24
80	რეგლიონის დემონტაჟი	მ2	4.35		0	20	87		0	87.00
81	კედლებიდან მარმარილოს ფილების დემონტაჟი 30%	მ2	22.17		0	2	44.34		0	44.34
82	კედლებიდან პლასტიკატის დემონტაჟი	მ2	89.31		0	1.5	133.965		0	133.97
83	ვესტიბური ჭერიდან პლასტიკატის დემონტაჟი	მ2	321.41		0	1.5	482.115		0	482.12
84	ბუნებრივი გრანიტის დემონტაჟი 30%	მ2	48.24		0	2	96.48		0	96.48
85	ხის კარის დემონტაჟი	მ2	5.94		0	4.08	24.2352	0.31	1.8414	26.08
86	სახანძრო ონკანისა და მისი ფარების დემონტაჟი	ც	1		0	6.5	6.5		0	6.50
87	შესასვლელ კართან ფილების დემონტაჟი	მ2	10.15		0	2	20.3	0.22	2.233	22.53

1	სანათი წერტილოვანი LED16wt	ც	90	36	3240		0	0	3240.00
2	სანათი DVO20U-40	ც	16	200	3200		0	0	3200.00
3	სანათი LED DSP45U-3X30	ც	212	40	8480		0	0	8480.00
4	ტორშერი LED 60wt	ც	44	100	4400		0	0	4400.00
5	გამანაწილებელი კოლოფი	0	30	3	90		0	0	90.00
6	პერმეტული ჩამრთველი	ც	2	18.6	37.2		0	0	37.20
	კაბელები				0		0	0	0.00
7	კაბელი BFG 3X2,5 მმ	გრძ/მ	860	1.45	1247		0	0	1247.00
8	კაბელი ABBE 3X3,5 მმ. უკვეწიანი	გრძ/მ	430	1.5	645		0	0	645.00
	ჯამი	ლარი			21339.2				21339.20
	მასალების ტრანსპორტირება (მასალების ღირებულების 5%)	5%							1066.96
	ჯამი II თავის „ბ“ მუხლის	ლარი							22406.16
	ჯამი II თავის „ა“ და „ბ“	ლარი							31050.35
	გეგმური დაგროვება	5%							1552.52
	სულ	ლარი							32602.86
	III თავი - ხმამალა ჩრლაპარაკე სისტემების მოდერნიზაცია								
1	დინამიკების დემონტაჟი I და II ხაზში, აგრეთვე დახრილი გვირაბის თაღზე ც II, ძველი გაყვანილობის დემონტაჟი I და II ხაზში, აგრეთვე დახრილი გვირაბის თაღზე მ 600	ლარი					500		500.00
2	I და II ხაზების პოლინებში ცალკე სპეციალური კონსტრუქციებისგან (პლასმასის ღარები) კავშირგაბმულობის სისტემების საკომუნიკაციო ქსელების გასაცვანი არხების მოწყობა 200 მ, დინამიკების განთავსება პლატფორმის ორივე მხარეს -20 ცალი, შუა დარბაზში -12 ცალი, დახრილ გვირაბში - 10 ცალი, და ზედა ვესტიბულში 6-ცალი (მ.შ 2 ცალი გარეთ), კომპუტატორი KH - IP ან ანალოგიური ც I (თავსებადი არსებულ სისტემასთან), კვების ბლოკი B - IP ან ანალოგიური ც I (თავსებადი არსებულ სისტემასთან), მიკროფონი M E M -60 ან ანალოგიური ც I (თავსებადი არსებულ სისტემასთან), გაყვანილობის მონტაჟი 1400 მმ, სისტემის ცალკეულ სხივებად დაყოფა და ინდივიდუალური და ცენტრალური მართვის უზრუნველყოფა	ლარი			2000		1000		3000.00
	ჯამი	ლარი			2000				3500.00
	მასალების ტრანსპორტირება (მასალების ღირებულების 5%)	5%							100
	ჯამი	ლარი							3600.00
	ზედნადები ხარჯები	7%							252
	ჯამი	ლარი							3852.00
	გეგმური დაგროვება	5%							192.6
	სულ	ლარი							4044.60
	I+II+III თავის ჯამი	ლარი							422288.14
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები 5%	5%							21114.41
	ჯამი	ლარი							443402.54
	დღგ 18 %	18%							79812.46
	სულ ჯამი	ლარი							523215.00

შპს "დამბა"-ს დირექტორი, გიორგი ჯაბიძე

პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი



ტექნიკური დავალება

მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები

მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“ (ყოფილი სახელწოდება - გლდანის) 1989 წლის 07 იანვარს გაიხსნა, მისი პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები - გ. რაზმაზე და ს. ჩილოყაშვილი.

- ვესტიბიულის ფართობი - 404,4 მ2.
- დახრილი გვირაბის ფართობი - 547 მ2.
- ბაქანი და გამანაწილებელი დარბაზის ფართობი - 1666 მ2.

წინამდებარე ტექნიკური დავალება მოიცავს ვესტიბიულების და დახრილი გვირაბის რეაბილიტაციის მშენებლობის ორგანიზების საკითხებს.

მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები გათვალისწინებულია მეტროპოლიტენის ექსპლუატაციის პირობებში. სამუშაოები ხორციელდება ღამის საათებში მატარებლების მოძრაობის შეწყვეტისა და საკონტაქტო რელსიდან ძაბვის გამორთვის შემდეგ - "ფანჯრებში". "ფანჯრებში" სუფთა სამუშაო დრო მიღებულია 3 საათი.

მშენებლობის ხანგრძლივობის დასადგენად გამოყენებულია სნ და წ 1.04.03-85-ით „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“.

მითითებები სამშენებლო მოედნის ორგანიზაციისა და სამუშაოთა წარმოების შესახებ

აუცილებელია სარეაბილიტაციო ზონის გამიჯვნა დროებითი ბარიერებით. ვინაიდან მშენებლობის პროცესში შეუძლებელია ბაქნის ერთდროულად პარალიზება მშენებლობა უნდა დაიგეგმოს ცალ-ცალკე ზონებად. წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით და მშენებლობის კალენდარული გეგმით, გათვალისწინებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება უწყვეტი რიტმით, ნაკადური მეთოდების გამოყენებით. რომელიც გულისხმობს მომუშავეთა გადაადგილებას ნაგებობის ცალკეულ ნაწილებზე მათზე დაკისრებული სამუშაოების შესასრულებლად. ცხადია სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია სამუშაოთა შორის ტექნოლოგიური ინტერვალების დაცვა. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება აუცილებელია ავტორების კონტროლის ქვეშ, დადგენილი წესით. გამოყენებული მასალები უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო მოთხოვნებს და გააჩნდეთ შესაბამისი სერტიფიკატი. სამუშაოები უნდა შესრულდეს უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარული ნორმების, გარემოს დაცვის, სამუშაოთა წარმოების და მიღების წესის, მეტროპოლიტენის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების და მეტროპოლიტენის სხვა საექსპლუატაციო ინსტრუქციების მოთხოვნათა შესაბამისად. შემსყიდველთან წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული სამშენებლო მოედანზე ტექნიკის შეყვანა და გამოყვანა, მასალების შეტანა და ნარჩენების გამოტანა.

მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და ნორმატივების საფუძველზე. ქვემოთ კი მოყვანილია მოქმედი ნორმები და წესები რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს:

- სნ და წ111-17-78 "ქვის კონსტრუქციები"
- სნ და წ111-18-79 "ლითონის კონსტრუქციები"
- სნ და წ111-19-81 "ხის კონსტრუქციები"
- სნ და წ111-20-74 "ბურღულები, ჰიდროიზოლაცია, ორთქლიზოლაცია და თბოიზოლაცია"
- სნ და წ111-21-79 "სამშენებლო კონსტრუქციების მისაპირკეთებელი სამუშაოები"
- სნ და წ111-3-14-78 "იატაკები"
- სნ და წ3.04.03-85 "კოროზიისგან დაცვა"
- სნ და წ111-28-79 "შენობებისა და ნაგებობების სანიტარული მოწყობა"
- სნ და წ111-29-79 "გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობები, გარე ქსელები და ნაგებობები"
- სნ და წ111-30-79 "წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები"
- სნ და წ111-33-79 "ელექტროსამონაყო სამუშაოები"
- სნ და წ111-10-78 "ტერიტორიის კეთილმოწყობა"
- სნ და წ111-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა"
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას.
- სნ და წ1.06.05-85 "მშენებლობის საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა"
- ინსტრუქცია "მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება".

ვინაიდან სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს მეტროსადგურის ტერიტორიაზე მატარებელთა მოძრაობის პარალელურად, აუცილებელია სამუშაოთა წარმოების პროცესში დაცული უნდა იყოს „მეტროპოლიტენის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები“.

მეტროპოლიტენის მაღალი ძაბვის კაბელებთან და დანადგარებთან ახლოს მუშაობის პროცესში, ელექტროუსაფრთხოებას და კაბელების გადაადგილებას უზრუნველყოფს შემსყიდველის შესაბამისი საშუალებები. სამშენებლო ბაქანზე მასალებისა და ბაქნიდან დაშლის შედეგად მიღებული ნაგვის დატვირთვა-გადმოტვირთვა უნდა იწარმოოს "დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების საერთო მოთხოვნების" მიხედვით. ტრანსპორტზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების ტექნიკის და სამრეწველო სანიტარიის წესების შესაბამისად. დამის ბნელ პერიოდში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების წარმოება ნებადართულია სამუშაოთა ადგილის არანაკლებ 20 ლუქი განათების დროს. ტვირთის გადათრევა გვარლის ირიბი დაჭიმვით აკრძალულია.

მშენებლობის წარმოებისას უსაფრთხოების წესების დაცვა

მშენებლობის წარმოებისას, უსაფრთხოების წესები და მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები დაცული უნდა იყოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ 111-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი: დიდი მოცულობის და დიდი გაბარიტების ტექნიკისა და სამშენებლო მასალების გადაზიდვები მშენებლობის პროცესში შეთანხმდება შემსყიდველთან. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომპლექსური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

ადვილად აალებადი, სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში, არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, მომუშავე უნდა იყენებდეს სპეციალურ და თავსაბურავს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს ტექნოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.

ელექტროსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია 12.1.013-88 საქ.სტანდარტში. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილი მდგომარეობაში. ელექტროკაბელები, სადენები და მოწყობილობები უნდა იყოს იზოლირებული, აკრძალულია გაშიშვლებული სადენების გამოყენება.

სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ელექტროქსელში აკრძალულია შესაბამის სამსახურებთან შეთანხმების გარეშე.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ სამუშაო ადგილზე არ დატოვოს სამშენებლო მასალები და სხვადასხვა ნარჩენი. მომუშავე მუშები გაფრთხილებულ უნდა იქნას, რომ დაუკეტავ ლიანდაგებში ყოფნა და გავლა სასტიკად აკრძალულია.

ბაქანზე მომუშავე მუშებს ეკრძალებათ შემოუფარგლავ სადენებთან და საკონტაქტო ქსელის ნაწილებთან მიახლოება არაუმეტეს 2 მეტრის მანძილზე, როგორც თვითონ, ასევე რაიმე საგნის გამოყენებით.

ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

მშენებლობის პერიოდში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტკვრიანებისაგან თავის ასაცილებლად. ამ მიზნით, დახრილი გვირაბიდან სამშენებლო ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს დახურული ღარებისა და კონკრეტული ნაგავსაყრელების საშუალებით.

დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭაში ბეტონისა და სხვა ხსნარების ჩარეცხვა, მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნებისდაცვითი და ჰაერისდაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საპროექტო გადაწყვეტილებები

საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

საპროექტო ობიექტი შეფასებულ იქნა და არ საჭიროებს გამაგრებით სამუშაოებს.

მთავარ შესასვლელში ორ რიგად მოწყობილი კარები უნდა გამოიკვალოს. ზედა ვესტიბულში არსებულ იატაკს ჩაუტარდეს პოლირება. ავტომატურ საკონტროლო პუნქტთან (ტურნიკეტი - АКП) და დამჭიმავთან არსებული ასფალტი უნდა შეიცვალოს ბუნებრივი გრანიტით. კედლებიდან ჩამოიფხვიოს არსებული საღებავისა და შელესვის ფენა. მისი შელესვა განხორციელდეს მაღალხარისხიანი ფითხით და შეიღებოს მაღალხარისხიანი წყალმდევი საღებავით.

შესასვლელ კართან გარე და შიდა მხრიდან არსებული ცხაურები შეიცვალოს. ვესტიბულში არსებული გამშვები ტურნიკეტები, ბარიერები და საკონტროლო ჯიხური შეიცვალოს ახლით. ბანკის ჯიხური და ასევე შიგნით არსებული ჯიხურები შეიფუთოს უწყვიდი მასალით.

დახრილი და დამჭიმავ გვირაბში შეიცვალოს და აღდგენილი იქნას სადრენაჟო არხები.

დახრილი გვირაბის ქოლგებზე არსებულ სარეკლამო ბანერების ნაცვლად მოეწყოს ახალი.

ქვედა ვესტიბულში არსებული ბუნებრივი გრანიტის იატაკს და კედლებს ჩაუტარდეს პოლირება. გათვალისწინებულია არსებული მეტრონის საფარის დემონტაჟი და მისი შეცვლა ბუნებრივი გრანიტით. ქვედა ვესტიბულში და ჰორიზონტალურ გვირაბებში ჭერიდან, კედლებიდან, კარნიზებიდან და შუბლებიდან ჩამოიფხვიოს არსებული საღებავი და შეიღებოს მაღალხარისხიანი წყალმდევი საღებავით. ჰორიზონტალურ გვირაბებში შუბლების მოწყობა განხორციელდეს მინამაგნიტიტის ფილებით, ლითონის კარკასზე.

ქვედა ვესტიბულში, კოლონებში არსებული სადრენაჟო არხები გაიწმინდოს. ასევე გაიწმინდოს ზონტებთან და სალიანდაგო კედლებთან არსებული ქოლონები და სადრენაჟო არხები. ასევე პროექტით გათვალისწინებულია ყველა დეკორაციული ნაკეთობის გაწმენდა და პირვანდელი სახით აღდგენა. დამჭიმავში ჰერმეტიკული კარები (ზატკორი) შეიფუთოს.

პლატფორმაზე არსებული ჯიხურები მოიხსნას და შეიცვალოს ახლით.

განხორციელდეს პლატფორმაზე არსებული დამცავი მავთულის ზადის დემონტაჟი. ასევე არსებული სადგარები, ამრეკლი სარკეები და საათები შეიცვალოს ახლით.

ქვედა დამჭიმავის კედლებზე სავენტილაციო არხები მოეწყოს ცხაურებით; ასევე ჰორიზონტალურ გვირაბებში განხორციელდეს, იატაკსა და კედლებზე არსებული ცხაურებისა და სახანძრო ფარების დემონტაჟი და ახლით მოწყობა.

სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულება ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შესრულებული პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმებისა და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

შემსყიდველის წარმომადგენლები, წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით, ჟურნალში აღნიშნავენ თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებების და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია, მათი აღმოფხვრის შესახებ.

მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით, ობიექტის მოვლა-შენახვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ განათების გაანგარიშება

ქვედა ვესტიბულში მარჯვენა და მარცხენა მხარეზე, ასევე მარჯვენა და მარცხენა ბაქანებზე განათება ეწყობა თანამედროვე დიზაინის ჰერმეტიკული, ცველვამსლე პლასტიკით დახურული სანათებით DSP45U-3X30 (ან მისი ექვივალენტური) ვატის სიმძლავრის LED ნათურებით. სანათები უნდა იქნას მიყენებული ისე, რომ ნორმალურად განათებული იყოს როგორც ვესტიბული, ასევე ოვალური ფორმის ჭერი. სანათების მიყენების ადგილი ნაჩვენებია ნახაზზე. განათებულობის გაანგარიშებას ვახდენთ გამოყენების კოეფიციენტის მეთოდით შემდეგი ფორმულისა და ცხრილების გამოყენებით, ელექტრო განათების პროექტირების სახელმძღვანელოს მიხედვით (Справочная книга для проектирования электрического освещения / Под ред. Г.М. Кнорринга. – СПб.: Энергоатомиздат, 1992. – 448 с.):

სანათების საჭირო რაოდენობის გაანგარიშებას ვახდენთ ფორმულით:

$$N = \frac{E \times S \times \eta}{\pi \times r \times \times \phi}$$

სადაც:

E - ნორმით მოთხოვნილი ჰორიზონტალური განათება (ლუქსი);

S - გასანათებელი სივრცის ფართობი (მ²);

λ - მარაგის კოეფიციენტი;

n - სანათში ნათურების რაოდენობა (ც);

φ - ერთი ნათურის სინათლის ნაკადი (ლუმენი);

η - გამოყენების კოეფიციენტი.

ჩვენს შემთხვევაში ქვედა ვესტიბულში შუა დარბაზის ფართობი 1092.96 მ²-ია. ნაგებობის ტიპიდან გამომდინარე (საშუალოზე მაღალი მტერიანობის საშრლიანი მომსახურების ციკლით) შესაბამისი ცხრილის მიხედვით ვიღებთ მარაგის კოეფიციენტს - 1,8-ს.

სათავსოს ინდექსი:

$$i = \frac{S}{(h_1 - h_2) \times (a + b)} = \frac{1092.96}{(6.5 - 0) \times (9.2 - 11.8)} = \frac{1092.96}{832} = 1.31$$

სადაც:

h₁ - გასანათებელი სივრცის სიმაღლე (მ);

h₂ - სანგარიშო ზედაპირის სიმაღლე (მ);

a - სათავსოს სიგანე (მ);

b - სათავსოს სიგრძე (მ).

განგარიშების მეთოდიკაში გამოყენებულია ცხრილი, რომელიც განსაზღვრავს ზედაპირიდან არეკვლის კოეფიციენტს. ჩვენს შემთხვევაში ჭერი თეთრი ფერისა და არეკვლის კოეფიციენტი 70 %-ის ტოლია, კედლები ნაცრისფერი - არეკვლის კოეფიციენტი 30 %-ი, იატაკი მუქი ფერის - 10 %-ი. აღნიშნული კოეფიციენტებისა და სათავსოს ინდექსის მისადაგებთ. ელექტრო განათების პროექტირების სახელმძღვანელოს (Справочная книга для проектирования электрического освещения / Под ред. Г.М. Кнорринга. - СПб.: Энергоатомиздат, 1992. - 448 с.) ცხრილიდან (ცხ. 5-20) აღებულია გამოყენების კოეფიციენტი η=40%-ს.

$$N = \frac{S \times i \times \lambda}{\eta \times n \times \phi} = \frac{200 \text{ lx} \times 1092.96 \text{ m}^2 \times 1.8}{0.4 \times 3 \times 2880 \text{ lm}} = \frac{393465.6}{8640} = 114$$

ამრიგად ქვედა ვესტიბულის შუა დარბაზის მინიმალურად 200 ლუქსით გასანათებლად საჭიროა 114 ცალი DSP45Y-3X30 (ან მისი ექვივალენტური) სიმბლავრის სანათი G13 ცოკოლზე. მიღებული საპროექტო გადაწყვეტიტ დარბაზის ორივე მხარეს უნდა დამონტაჟდეს 60 - 60 ცალი სანათი (პლანფონებს შორის დაშორებისა და დიზაინის გათვალისწინებით). მარჯვენა და მარცხენა ბაქნებისთვის:

$$i = \frac{S}{(h_1 - h_2) \times (a + b)} = \frac{517}{(5.7 - 0) \times (5 + 103.4)} = \frac{517}{589.38} = 0.88$$

η=0,33

$$N = \frac{S \times i \times \lambda}{\eta \times n \times \phi} = \frac{150 \text{ lx} \times 517 \text{ m}^2 \times 1.8}{0.33 \times 3 \times 2880 \text{ lm}} = \frac{139590}{2851.2} = 49$$

მარჯვენა და მარცხენა ბაქნებზე უნდა დამონტაჟდეს 50 - 50 ცალი DSP45U-3X30 (ან მისი ექვივალენტური) ვტ სიმბლავრის სანათი. დახრილი გვირაბის გასანათებლად პირველ და მეორე, ასევე მეორე და მესამე ესკალატორებს შორის განათება ეწყობა ბალუსტრადებზე დამონტაჟებული ტორშერების მეშვეობით. მოთხონის თანახმად დახრილ გვირაბში განათებულობა უნდა იყოს 100 ლუქსი. შერჩეული სანათის სინათლის ნაკადი ტოლია 4550 ლუმენის.

$$i = \frac{S}{(h_1 - h_2) \times (a + b)} = \frac{474}{(3.6 - 0) \times (6.6 + 71.8)} = \frac{474}{282.24} = 1.68$$

η=0,43

$$N = \frac{S \times i \times \lambda}{\eta \times n \times \phi} = \frac{100 \text{ lx} \times 474 \text{ m}^2 \times 1.8}{0.43 \times 4550 \text{ lm}} = \frac{85320}{1959.5} = 44$$

ამრიგად ესკალატორებს შორის ორივე ბალუსტრადაზე ეწყობა 22-22-ი ცალი 60 ვტ-იანი LED სანათი (ტორშერებს შორის დაშორებისა და დიზაინის გათვალისწინებით).

ზედა ვესტიბული ნათდება ჭერში ჩასმული 44 ვატიანი IP 40 დაცულობის LED სანათით. ჭერზე მოწყობს 26 ცალი LED 60 ვტ-იანი სანათი 4550 ლუქს სინათლის ნაკადით.

$$i = \frac{S}{(h_1 - h_2) \times (a + b)} = \frac{292.64}{(3.5 - 0) \times (24.8 + 11.8)} = \frac{292.64}{126.1} = 2.28$$

η=0,52

$$N = \frac{S \times i \times \lambda}{\eta \times n \times \phi} = \frac{100 \text{ lx} \times 292.64 \text{ m}^2 \times 1.8}{0.52 \times 4550 \text{ lm}} = \frac{52675.2}{1959.5} = 26$$

პროექტით გათვალისწინებული ყველა სანათი ჰერმეტიულია IP65 და IP40 დაცულობის, ცეცხლგამძლე არააღებადი კორპუსით.

ლიტერატურა:

1. Долин П.А. Справочник по технике безопасности. - М.: Энергоатомиздат, 1982. - 800 с.
2. Кнорринг Г.М. Осветительные установки. - Л.: Энергия, 1981. - 412 с.
3. Справочная книга для проектирования электрического освещения / Под ред. Г.М. Кнорринга. - СПб.: Энергоатомиздат, 1992. - 448 с.
4. СНиП 23-05-95. Естественное и искусственное освещение.

სხვადასხვა მასალები

საღებავი	<p>შიდა სამუშაოებისათვის. განსაკუთრებით თეთრი. მაღალი დაფარვის უნარის მქონე საღებავი.</p> <p>თვისებები: სველი მოხეხვის მე-3 კლასი EN 13300-ს მიხედვით, მორეცხვისადმი მედეგი, დაფარვის მე-2 კლასი (6მ²/ლ-სას), მქრქალი, ადვილად დასამუშავებელი, დიდი ფართობების დაფარვისათვის, გამხსნელების გარეშე, მაღალი დაფარვის უნარით.</p> <p>- მაღალხარისხიანი დისპერსიული საღებავი შიდა დაფარვისთვის</p> <p>- მაღალი დაფარვის უნარით</p> <p>- სველი მოხეხვისადმი მედეგი</p> <p>- ნორმალური მექანიკური დატვირთვებისთვის საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციულ შენობებში, ქერისა და კედლებისთვის</p> <p>შრობა: ზედაპირული: 4-6 საათის შემდეგ</p> <p>გადაღებვისთვის მზადაა: 12 საათის შემდეგ</p> <p>ხარჯი: დაახლოებით 150 მლ/მ² (6-7 მ²/ლ) ერთ ფენაზე</p> <p>ზონინვარების ხარისხი: მქრქალი. დაიტანება ფუნჯით, გორგოლაჭით ან საფრქვევით.</p>
მინამაგნეზიტის ფილა	<p>სისქე 6მმ, სიმკვრივე 1400 კგ/მ³, ზედაპირის სიმკვრივე არანაკლებ 1,9 კგ/მ², თბოგამტარობა 0.21 ვტ/(მც), ცეცხლმედეგობა 0.14. ფორმის ცვლილება ტენიან გარემოში არაუმეტეს 0,34%.</p>
საფითხნი	<p>ე.წ შპაკლი - მშრალი, კედლებისა და იატაკის შიდა სამუშაოებისათვის</p>

შენიშვნა:

- მიმწოდებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნაბაზების უპირობო გარეშე დაუშვებელია.
- სამშენებლო ტექნიკა და მასალები საამშენებლო ობიექტამდე უნდა მოვიდეს სარელსო ტრანსპორტის გამოყენებით, რომელიც იჯარით უნდა იქნას აყვანილი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან“ (აღნიშნული მომსახურების ხარჯი შეეყვანილია მასალების ტრანსპორტირების ხარჯში).

ქ.ს. „დამბა“-ს დირექტორი ვიხიჯი ჯაბიძე
 (პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი გვარი)



სამუშაოს შესრულების ვადა და საგარანტიო პირობები

სამუშაოს შესრულების ვადა:

სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრება, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს: 220 კალენდარული დღე.

ამასთან, მიმწოდებელმა სამუშაოს შესრულება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს: 03 კალენდარული დღის ვადაში.

საგარანტიო პირობები

№	დასახელება	სწორი ექსპლუატაციის პირობებში სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მინიმალური საგარანტიო პირობა და/ან ვადა	სწორი ექსპლუატაციის პირობებში პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საგარანტიო ვადა
1	შესრულებული სამუშაოები	არანაკლებ 10 წელი	10 წელი
2	შესრულებული სამუშაოს დროს გამოყენებული სამონტაჟო მასალები, რომელთა ერთეულის ფასი შეტია 500 ლარზე	არანაკლებ 36 თვე	36 თვე
3	შესრულებული სამუშაოს დროს გამოყენებული სამონტაჟო მასალები*, რომელთა ერთეულის ფასი ნაკლებია 500 ლარზე	არანაკლებ 12 თვე	12 თვე

- საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორება განახორციელოს შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

შენიშვნა:

- ცხრილის მე-3 პოზიციაზე მითითებულ მასალებში არ იგულისხმება მასალები, რომლებიც გამოიყენება უშუალოდ მშენებლობისათვის, მაგალითად ცემენტი, ქვიშა, საღებავი და მსგავსი მასალა.

შპს "დამბა"-ს დირექტორი:



/გ.ჯაბიძე/

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს "დამბა"

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404384625

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: გიორგი ჯაბიძე

პრეტენდენტის იურიდიული/ ფაქტიური მისამართი: საქართველო ქ.თბილისი,

ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ.№16, კორ.4ა, სართ. 6. ბ.4 /

ქ.თბილისი მიცკეევის ქ.№29ა V სართული

პრეტენდენტის ოფისის ტელეფონის ნომერი: 237-92-81.

მობილური ტელეფონის ნომერი: 599 399971

ელექტრონული ფოსტის მისამართი: damba1@ymail.com

ბანკის დასახელება: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE 22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE42 TB76 0893 6020 1000 01

შპს "დამბა"-ს დირექტორი:



/გიორგი ჯაბიძე/

1542/102-01

საბანკო გარანტია # 2086089-8660852

ქალაქი თბილისი

2016 წლის 07 დეკემბერი

ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის ბექ-ოფისის უფროსი მენეჯერი ნინო წერეთელი, მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით :

გარანტი:
პრინციპალი :

სს "თიბისი ბანკი"
შპს დამბა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404384625
რეგ. თარიღი: 07/07/2010
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია

ბენეფიციარი :
გარანტიის თანხა :
გარანტიის გაცემის საფუძველი :

23 545,00 (ოცდასამი ათას ხუთასორმოცდახუთი ლარი) ლარი
"ბენეფიციარს" და "პრინციპალს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების საფუძველზე მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ (SPA160025375) (შემდგომში „ხელშეკრულება“) პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის უზრუნველყოფა.

გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება:

"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საბანკო გარანტიის წერილის პირობების გათვალისწინებით, პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის¹ ვადაში "ბენეფიციარს" გადაუხადოს მოთხოვნაში მითითებული თანხა, მაგრამ არაუმეტეს გარანტიის თანხისა
1. სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში (რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ) აუცილებელი წესით უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა.

გარანტიის მოქმედების ვადა :

წერილობითი მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული რაიმე სახის დოკუმენტის წარმოდგენის აუცილებლობის განსაზღვრის შემთხვევაში) წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის კანცელარიაში სამუშაო საათებში.
04 სექტემბერი 2017-ის ჩათვლით.
მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღის ჩათვლით.

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით, თანდართული "ხელშეკრულების" ასლითა და წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტით (წინამდებარე გარანტიით ასეთის წარმოდგენის აუცილებლობის განსაზღვრის შემთხვევაში), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება (ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის გასვლით).

საბანკო გარანტია ზემოაღნიშნულის გარდა ასევე უქმდება შემდეგ შემთხვევებში:
• ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
• ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობითი უარის თქმით და საბანკო გარანტიის დედნის გარანტისთვის დაბრუნებით;
• პრინციპალის მიერ საგარანტო ვალდებულებების სრულად შესრულებით, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იქნას ბენეფიციარის მიერ.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).
საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის ბექ-ოფისის უფროსი მენეჯერი ნინო წერეთელი

